სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№01-04/52 19.07. 2021 წ.

# საშემსრულებლო ხელოვნების პროგრამაზე სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვების ნორმების, ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობების განსაზღვრის შესახებ

საშემსრულებლო ხელოვნების პროგრამაზე სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო - მეთოდური დატვირთვების ნორმების, ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობების განსაზღვრის მიზნით ვბრძანებ:

1. სახელმძღვანელოდ იქნას მიღებული საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 19.12. №266 გადაწყვეტილება „სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ საშემსრულებლო ხელოვნების (ფორტეპიანო, საორკესტო-სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი, სოლო აკადემიური სიმღერა) საბაკალავრო-სგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“
2. ზემოთაღნიშნული გადაწყვეტილების მე-4 მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს აწსუ-ს საშემსრულებლო ხელოვნების პროგრამაზე ხელშეკრულებითა და საათობრივად მოწვეული პერსონალის სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო -მეთოდური დატვირთვების ნორმები თანდართული ფორმით / დანართი 1 და დანართი 2/.
3. ბრძანების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2022 წლის 1 სექტემბრამდე.
4. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ბრძანების საინფორმაციო დაფაზე განთავსება და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში დაგზავნა.
5. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა ზურუნველყოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე, ძირითადი მენიუს პუნქტში „სწავლა“, ქვემენიუში „სასწავლო პროცესი“.
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რქტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შალვა კირთაძემ.

საფუძველი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება # 68(18/19), საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 19.12. №266 გადაწყვეტილება „სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ საშემსრულებლო ხელოვნების (ფორტეპიანო, საორკესტო-სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი, სოლო აკადემიური სიმღერა) საბაკალავრო-სგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“.

რექტორი პროფესორი როლანდ კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი პროფესორი იმერი ბასილაძე

სასწავლო-მეთოდური განყოფილების უფროსი აკად. დოქტ. მადონა ნიჟარაძე

დანართი 1

მუხლი 1.საშემსრულებო ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების კომპონენტების მიხედვით ჯგუფში სტუდენტთა სარეკომენდაციო რაოდენობისა და დროის განსაზღვრა

1.1. საგანმანათლებლო პროგრამის ფუნქციონირებისთვის სტუდენტთა კონტიგენტი განისაზღვროს 20 და მეტი სტუდენტი;

1.2. სალექციო-ჯგუფური მუშაობა:

- სასწავლო კურსებში მსოფლიო და ქართული მუსიკის ისტორია, ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება, საოპერო მომზადება, სამსახიობო ოსტატობის საფუძვლები, სასცენო მოძრაობა, გრიმი, ხმის ჰიგიენა, ვოკალური ანსამბლი, საორკესტრო კლასი, კვარტეტის კლასი, სოლფეჯიო, ჰარმონია, ჰარმონიის ისტორია და თეორია, მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი, პოლიფონია, საკრავებზე დაკვრის საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია, იტალიური ენა, არანჟირება, გუნდთან მუშაობა და საგუნდო ლიტერატურა, საკრავთმცოდნეობა და არჩევითი სასწავლო კურსებზე ჯგუფში დასაშვებად ჩაითვალოს 1 და მეტი სტუდენტი;
- პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს მინიმუმ 1(ერთი) და მაქსიმუმ 6 (ექვსი) სტუდენტით.

1.3. პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად გამომდინარე დასაშვებად ჩაითვალოს პრაქტიკულ-ინდივიდუალურ სასწავლო კურსებზე სასწავლო პროცესში პედაგოგთან ერთად სასწავლო-დამხმარე პერსონალის კონცერტმაისტერების/ილუსტრატორების ჩართვა;

1.4. საორკესტრო კლასის სასწავლო კურსში სასწავლო პროცესი წარიმართოს ნაკადში საორკესტრო სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი საკრავების სპეციალობების სტუდენტებთან ერთად;

1.5. მუსიკალურ - თეორიულ სასწავლო კურსებში: სოლფეჯიო, მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი, პოლიფონია, საკრავთმცოდნეობა სასწავლო პროცესი წარიმართოს ნაკადში შემდეგი სპეციფიკის გათვალისწინებით:

- ფორტეპიანოსა და საორკესტრო სიმებიანი საკრავების სპეციალობების სტუდენტები;
- სოლო აკადემიური სიმღერის, ჩასაბერი და დასარტყამი საკრავების სპეციალობების სტუდენტები;
- აკადემიური გუნდის დირიჟორობის სპეციალობის სტუდენტები.

1.6. ყველა სპეციალობის სტუდენტებისათვის სასწავლო გეგმის შესაბამისად მსოფლიო მუსიკის, ქართული მუსიკის ისტორიის, ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების, ჰარმონიის ისტორიისა და თეორიის სასწავლო კუსრებში სასწავლო პროცესი წარიმართოს ნაკადში.

1.7. საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების განხორციელება მოხდეს უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 2. "საშემსრულებლო ხელოვნების" საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად სპეციალურ სასწავლო კურსებში პედაგოგთა დატვირთვის განსაზღვრა

2.1. სასწავლო გეგმის შესაბამისად სპეციალობის 1 (ერთ) სტუდენტზე გათვალისწინებული საათების რაოდენობა გამრავლდეს პედაგოგის კლასში არსებული სტუდენტების რაოდენობაზე ( მაგ.: თუ სასწავლო გეგმით ერთ სტუდენტზე სპეციალურ სასწავლო კურსზე გათვალისწინებულია 45/30 საათი (ერთ სემესტრში-კვირაში სამი/ორი შესვლა), პედაგოგის დატვირთვა განისაზღვრება მის კლასში ჩარიცხული სტუდენტის რაოდენობით. თუ სემესტრში ერთ სტუდენტზე იანგარიშება 45/30 საათი, 2 სტუდენტზე -90/60 საათი და ა.შ. );

2.2. კონცერტმაისტერის დატვირთვა განისაზღვროს შესაბამისი სასწავლო კურსის მასწავლებლის დატვირთვის მიხედვით (ერთ სემესტრში 45/30/60 საათი);

2.3. მასწავლებელთა და კონცერტმაისტერთა დატვირთვის დაზუსტება, ჩარიცხვის სპეციფიკიდან გამომდინარე, განხორციელდეს უნივერსიტეტში აბიტურიენტთა ჩარიცხვის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 3. სტუდენტთან დახარჯული დროის განსაზღვრა

3.1. 1 (ერთ) სტუდენტზე დახარჯული ინდივიდუალური სამუშაო დრო შეესაბამება 1 (ერთ) ჯგუფზე დახარჯულ სამუშაოს დროს, რადგანაც შესაძლებელია რომელიმე დეფიციტურ სპეციალობაზე დაწესებულებაში ირიცხებოდეს, მხოლოდ 1 (ერთი) სტუდენტი. ამ მხრივ დასაშვებად იქნას მიღებული მცირერიცხოვანი ჯგუფების შექმნა.

3.2.პრაქტიკულ-ინდივიდუალური მეცადინეობა სავალდებულო სასწავლო კურსებში: სპეციალობა ფორტეპიანო, საორკესტრო სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა, აკადემიური გუნდის დირიჟორობა, გუნდთან მუშაობა, ანსამბლის კლასი, პარტიტურის კითხვა - მეცადინეობები წარიმართოს ინდივიდუალურად - პედაგოგი 1 (ერთ) სტუდენტთან მუშაობს 1 (ერთ) საათს და ერთ სტუდენტზე დახარჯული დრო გაუტოლდეს ერთი ჯგუფისთვის დახარჯულ დროს;

დანართი 2

მუხლი 1. საშემსრულებლო ხელოვნების პროგრამაზე სასწავლო-მეთოდური, სამეცნიერო-მეთოდური, საშემსრულებლო და საორგანიზაციო - მეთოდური დატვირთვების ნორმები განსაზღვროს შემდეგი სახით:

| N | განსახორციელებელი საქმიანობის სახეები | დროის ნორმები საათებში დატვირთვის გაანგარიშებისთვის |
|---|---|---|
| 1 | ახალი დისციპლინის სალექციო კურსის შედგენა და მომზადება გამოსაცემად | 250-300 საათი ერთ საავტორო თაბახში |
| 2 | ახალი დისციპლინის სალექციო კურსის კონსპექტის შედგენა და მომზადება გამოსაცემად | 100-150 საათი ერთ საავტორო თაბახში |
| 3 | ქრესტომათიების, სარეპერტუარო კრებულების შედგენა და მომზადება გამოსაცემად:<br>ა) სანოტო ტექსტი<br>ბ) კომენტარები | 100-150 საათი ერთ საავტორო თაბახში |
| 4 | კურსის ახალი სასწავლო პროგრამის შედგენა, კურსის არსებული სასწავლო პროგრამის გადამუშავება (სილაბუსი) | 50 საათი |

| | | |
|---|---|---|
| 5 | სახელმძღვანელოების, დახმარე სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების, მოხსენებების, სტატიების რეცენზირება | 25 საათი ერთ საავტორო თაბახში |
| 6 | მუსიკალური ნაწარმოებების საშემსრულებლო და პედაგოგიური რედაქციის გაკეთება | 50 საათი |
| 7 | სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის სხვა სახეები, კონსულტაციები უსდ-ს, დაწყებითი და საშუალო რგოლის მასწავლებელთათვის | ფაქტიურად დახარჯული დრო + 10 საათი |
| 8 | დასავლეთ საქართველოს სამუსიკო დაწესებულებების მასწავლებლებისთვის კონსულტაციების ჩატარება უკანასკნელთა მიერ ჩატარებული გაკვეთილების გარჩევითა და მეთოდური თათბირის ჩატარებით | ფაქტიურად დახარჯული დრო +10 საათი თითოეულ მასწავლებელზე |
| 9 | თემატური გაკვეთილის მომზადება-ჩატარება კოლეჯსა და სხვა სამუსიკო დაწესებულებებში | 150 საათი |
| 10 | სამეცნიერო-მეთოდური წერილობითი მოხსენება | 100 საათი |
| 11 | სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიაში მუშაობა | 50 საათი |
| 12 | მასტერ-კლასების, ღია გაკვეთილების ორგანიზება და ჩატარება | ფაქტიურად დახარჯული დრო +10 საათი თითოეულ სტუდენტზე/მოსწავლეზე |

| | | |
|---|---|---|
| 13 | რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად სტატიების მომზადება, საერთაშორისო/ რეგიონალურ კონფერენციებში მონაწილეობა | 200 საათი+ ფაქტიურად დახარჯული დრო |
| 14 | სამეცნიერო-მეთოდური ზეპირი მოხსენება | 50 საათი |

საშემსრულებლო საქმიანობა

| N | განსახორციელებელი საქმიანობის სახეები | დროის ნორმები საათებში დატვირთვის გაანგარიშებისთვის |
|---|---|---|
| 1 | სოლო კონცერტი ორ განყოფილებად | 400 საათი |
| 2 | ანსამბლური კონცერტი ორ განყოფილებად | 300 საათი |
| 3 | სოლო კონცერტის გამეორება პროგრამის შეცვლის გარეშე (მიმდინარე სასწავლო წელს) | 200-100 საათი |
| 4 | კონცერტში მონაწილეობა:<br>ა) სოლო და ანსამბლური<br>ბ) კონცერტმაისტერად<br>გ) აკომპანიმენტი | <br>100 საათი<br>50 საათი<br>მოცულობისა და სირთულის მიხედვით |
| 5 | სასწავლო დაწესებულებებისთვის მუსიკის მექანიკური ჩაწერა<br>კონპაქტ-დისკი | 600-800 საათი<br>გაორმაგებული სოლო კონცერტის ნორმა |

| | | |
|---|---|---|
| 6 | საშემსრულებლო და სასწავლო-მეთოდური დამხმარე მასალის მექანიკური ჩაწერა პედაგოგიური და მეთოდური კომენტარებით სასწავლო დაწესებულებების საჭიროებისთვის | 300-400 საათი |
| 7 | სამუსიკო დაწესებულებაში ჩატარებული კონცერტი | 150-200 საათი |
| 8 | კლასის კონცერტის ჩატარება | 200 საათი |
| 9 | სტუდენტთა სოლო კონცერტის მომზადება და ჩატარება | 200 საათი |
| 10 | დიდი ფორმის ნაწარმოების შესრულება ორკესტრთან ერთად | 250-300 საათი |
| 11 | სტუდენტთა გაერთიანებული კონცერტის მომზადება | 50-70 საათი |